14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს ფინანსური მენეჯერი ნინო ქანდარია.

5.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდებისას, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი და ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა.

5.3 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

5.3.1 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხის, ტექნიკური სპეციფიკაციებისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

5.4 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

## *15. სხვა პირობები*

15..1მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

| "შემსყიდველი" | "მიმწოდებელი" |
|---|---|
| შპს "კოჯრის საექიმო ამბულატორია" | შ.პ.ს. „ჰუმანდიაგნოსტიკ ჯორჯია“ |
| მის: თბილისი, დაბა კოჯორი. ტაბიძის #7.<br>ტელ: 2 23 94 96<br>ს.ს. „თიბისი ბანკი“<br>ბანკის კოდი: TBCBGE22<br>ა/ა # GE93TB7575036020100002<br>ს/კოდი: 226521298 | მის: ქ.თბილისი, ჯავახიშვილის №51.<br>ტელ: 295-02-22<br>სს „პროკრედიტ ბანკის“ ც/ფ.<br>კოდი: MIBGGE22<br>ა/ა № GE37PC0133600100046123<br>ს/კოდი: 202161640 |
| დირექტორი: ნინო კიკნაძე<br>ხელმოწერა . . . . . . . . . . . . . .<br>ბ.ა. | დირექტორი: გიორგი ხაჭაპურიძე<br>ხელმოწერა . . . . . . . . . . . .<br>ბ.ა. |